**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის**

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-434

„25" 08 2010 წ.

ქ. თბილისი

**სს „კავკასავტომაგისტრალი"-ზე – ქ. ჭიათურაში ასფალტის საწარმოს მიმდინარე საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ**

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ' ქვეპუნქტისა და 22-ე მუხლის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს სს „კავკასავტომაგისტრალი"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა– ქ. ჭიათურაში ასფალტის საწარმოზე;
2. ნებართვის მოქმედების ვადა – უვადო;
3. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ქსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№ 7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №59; 23.08.2010წ ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გ. ხაჩიძე
გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას, ნებართვის მიმღებ სუბიექტს.